ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №8
2013 წლის 25 იანვარი

ქ. ცაგერი

„ცაგერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 28 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, „ცაგერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 28 იანვრის №1 დადგენილებაში შევიდეს ცვლილება, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დანართი №2 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 2

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედების ვადა განისაზღვროს 2013 წლის 1 თებერვლიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე **მამუკა ლეთოდიანი**

დანართი №2

ცაგერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს – გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგო

№	თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი სარგო
1	მუნიციპალიტეტის გამგებელი	2100
2	გამგებლის მოადგილე	900
3	გამგებლის თანაშემწე	450
4	სამსახურის უფროსი	700
5	განყოფილების უფროსი	500
6	მუნიციპალიტეტის რწმუნებული ქალაქ ცაგერის, ქვედა ცაგერის, ჩხუტელის, ორბელის, ლასურიაშის, ტვიშის თემში	700
7	მუნიციპალიტეტის რწმუნებული ალპანის, საირმის, ლაილაშის, უსახელოს, სპათაგორის, ღვირიშის, ნაკურალეშის, აღვის, წიფერჩის, ჩქუმის, ზუბის, ოყურეშის, ლუხვანოს თემში	600
	უმცროსი საჯარო თანამდებობა	
7	მთავარი სპეციალისტი	400

8	წამყვანი სპეციალისტი	300
9	უფროსი სპეციალისტი	270
10	სპეციალისტი	250
11	სპეციალისტი (ტერიტორიულ ორგანოში)	200
12	ქ. ცაგერის ტერიტორიული ორგანოს სპეციალისტი	250